№ 62

ორშაბათი, 20 მარტი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 62

ორშაბათი, 20 მარტი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომრით უსრულდებათ ჩვენს ხელის-მომწერლებს დაკლებული ნომრები.

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თაყთხის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდეთი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7\frac{1}{2}$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардiана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: თავადი მიხეილ ნაკაშიძე—სააქციზო გადასახადთა ნაწილის მე-7 ოლქის უმცროს ტეხნიკოსად.

## ახალი ამბავი

** შაბათს, 18 მარტს, ქართულის თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია „გემრიელი ლუკმა“, გადმოკ. დ. ერისთავისაგან. კომედიამ საერთოდ კარგად ჩაიარა, ანსამბლს ხელს უშლიდა საერთო როლის უცოდინარობა და ბ-ნ იმერიძის უხეირხულობა. კომედიის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, რომელშიაც ქ-ნმა გაბუნიამ საუცხოოდ იმღერა „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“ და „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“, თავ. აკაკი წერეთელმა—მშვენიერის ლექსებით დაატკბო მსმენელნი, თავ. ბარათაშვილმა ქართული რომანსები იმღერა, ბ-ნთ აბაშიძემ და გედევანოვმა „ვაი-ვაის“ ხმაზედ იმღერეს რაღაც, დამახინჯებული ვითომ-და კუპლეტები, შ. საფაროვმა უაზრო კინტოური ლექსები წაიკითხა და კავსაძის ხ რომ რამდენიმე სიმღერა სთქვა, რომელთა შორის საზოგადოებას დიდად მოეწონა ურმული. და სასრულ გაიმართა ლეკური, რომელშიაც იცეკვეს ქ-ნმა ე. ჩერქეზიშვილისამ და ბ-ნმა ციმაკურიძემ. წარმოდგენას საკმაოდ მრავლად დაესწრო ხალხი.

** დღეს, 20 მარტს, მოხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, რომელსაც თავად-აზნაურობის წინამძღოლების ამორჩევისა და სხვა-და-სხვა საქმეების განხილვის გარდა გასარჩევ საგნად ექმნება განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება ქართულ თეატრის შენობის გარდაკეთების შესახებ.

** ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება მოხდება დღეს, 20 მარტს. განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრების დადგენილება მთაწმინდაზედ გასამართ ფუნიკულერის კონცესიით გაცემის შესახებ და აგრეთვე ძმათა არზუმანოვების განცხადება ფუნიკულერის კონცესიით აღების შესახებ გამგეობის დადგენილებითურთ; ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება რიყას ქუჩის წყალდიდობისაგან მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად რაიმე ზომების მიღების შესახებ; ქალაქის მდივნის არჩევანი, არჩევანი ქალაქის ლომბარდის გამგისა, მ. ო. ყაზარიანცის ნაცვლად, რომელიც ამ თანამდებობას თავს ანებებს, და სხვანი.

** გუშინ, 19 მარტს, კუკიაში ახლად დაარსებულ ორის სამრევლო საეკლესიო სკოლების სადგომები აკურთხა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა. კურთხევას ბევრი ხალხი დაესწრო.

** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოში 1898 წელში ლაპარაკი ალიძრა იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნას ქ. ტფილისი პოლიციის შესანახ ხარჯში მონაწილეობის მიღებისაგანაო. ეს საქმე ამ დღეებში გამგეობამ განიხილა და დაადგინა გადიდოს ამ წელს პოლიციის შესანახად დამატებითი თანხა 4,020 მან. და 6 დეკემბერს 1899 წ. უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად პოლიციის შესანახი ხარჯი თანდათან იქმნას

## ფელეტონი

### უმეცრობის ფართი-ფურთი

(დასასრული *)

X

ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ: რა ძალა ადგა ბ-ნ ჟორდანიას, რომ ესეთს ბოდვას მოჰყვა და უმეცრობის მტვერბუქი ააყენა ჩვენებურ ბანკს გამო. რაკი ანბანიც იმ საქმისა არ გაეგებოდა, რაზედაც ჰლაპარაკობს, ბარემც თავისს ქერქში ყოფილიყო და კუისავით ფეხი არ გამოეყო, ვითომ-და მეც ნახარ ნახარო. მაგრამ რას იზამთ? ხელთ ჩაუგდია „კვალი“ და ხომ მოგეხსენებათ: „ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“.

ეს ხომ ფული და წოდება ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ, ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით. ეხლა ყური ათხოვეთ აქედამ რა გამოჰყავს: „ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგებაო და ამიტომაც ბანკიც იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თავისს თავს ებრძოლოს“. ღმერთი არ არის თქვენში,—ერთი ღვთის გულისათვის მაინც უპატრონეთ ამის მთქმელსა, თორემ სადავე თუ მიუშვით, ვინ იცის, რა კლდე-ღრეზე გადაიჩეხოს. მადლია, მიჰხედეთ!

საკომერციო ბანკები ვაჭართა წოდებისათვის უფროა დაარსებული, სასოფლო ბანკები გლეხთა წოდებისათვის, სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკი მარტო და განსაკუთრებით თავად-აზნაურთა წოდებისათვის, სახელმწიფო საგლეხო საადგილ მამულო ბანკი მარტო და განსაკუთრებით გლეხთა წოდებისათვის. მაშ ამაებშიაც, რადგანაც ერთის მხრით ფულია და მეორე მხრით წოდება, ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგება და ამიტომაც ეს ბანკები იძულებულნი არიან ამ წინააღმდეგობაში იტრიალონ და მით თავისს თავს ებრძოლონ! ასე გამოდის ბ-ნ ჟორდანიას ლოღიკით. ლოღიკა კარგი საქონელია და ვწუხვართ, რომ ამ ჩვენს უებრო მარქსისტს და ლოღიკას სწორედ ის საქმე დაჰმართვიათ, რაც ფულსა და წოდებას, ბ-ნ ჟორდანიას თუ დავუჯერებთ *).

აი რა მადანი სიბრძნისა მოგვიტანა ბ-ნმა ჟორდანიამ გერმანიიდამ. ბევრს სხვასაც შეუნიშნავს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და ჟურნალ-გაზეთობის გარედაც, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია უცოდინარი, უვიცი კაცია და არც სურვილი აქვს იცოდეს რამე, არც უნარი რამ მწერლობისა ღმერთს იმისთვის მიუმადლებია. მე ერთი, ერთად-ერთი სიტყვაც არ მახსოვს მისი იმისთანა, რომ ცოცხალი სიტყვა იყოს, გულსა და გონებას გასაღვიძებლად მოხვედროდეს. აბა რამდენი უწერია და ერთი ამისთანა სიტყვა მაგალითად მიჩვენეთ. მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად კევის ღეჭვაა. საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია: რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გაუზეპირებია, ისიც ღმერთმა იცის როგორ, და რაც მის საკუთარს ჭკუაზე მივარდნილა, იქ ყველგან ფეხი მოსხლეტია და სრული არარაობა გამოუჩენია. ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თვითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისნი წილ-ადონილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟ-ბატონს მთელის თავისის სიგძე-სიგანითა. მე-კი რის ღონე და შეძლებაც მქონდა, მარტო იმას მოვკიდე ხელი და მეტს აღარას შევეჭიდე.

ამით ვათავებ ამ წერილს უმეცრობის ფართი-ფურთობის თაობაზე. ვიცი, ჩემი მკითხველი დამემდურება და მისაყვედურებს: განა ღირს ბ-ნი ჟორდანია, რომ იმის გამო ამდენი დრო, ქაღალდი და მელანი დაიხარჯოსო? მართალი ბძანებაა, მეც ვიცი, რომ ჩიტი ბრდღვნად არა ღირს და უკან დევნა მეტია. სწორედ ჩემსავით მოცლილი უნდა იყოს, რომ ასე გააჭიანუროს საუბარი ამისთანა კაცზე. ხომ მოგეხსენებათ,—რა ძნელია მოკლედ თქმა იმისთანა ადამიანზე, რომელსაც საკუთარი ნიშან-წყალი არც ბუნებით დაჰყოლია, არც სწავლით და ცოდნით მოუპოვებია და შეუძენია. სადღაც გამიგონია, მგონია იოია ჭავჭავაძის ლექსშია, თუ ხსოვნა არ მღალატობს, რომ „ფუყე, უსახო კაცისა მოკლედ აღწერა ძნელიაო“.

მეტყვიან: ნუ შეხვალ, ნუ ებნევი, ნუ გამოხვალ, ნუ თრთი და რად შესტოპე, თუ ეს იცოდიო? რა მექნა, რომ არ შემეტოპნა? დიდი ხანია გულს მისიებს, გულს მიმღვრევს ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობის ფართი-ფურთი და ქადილების მტვერბუქი. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს აივსო ფიალა მოთმინებისა. ვიდრე ბ-ნი ჟორდანია გვიგალობდა ეგრედ წოდებულ ერფურტის პროგრამმიდამ *) გაზეპირებულს ხუთ-ექვს სტრიქონს, ისიც რუსულ მარქსიზმის ცომში ამოზელილს, მე არა მენაღვლებოდა-რა, რადგანაც ვიცოდი, ქარის მობერილს ქარივე წაიღებდა. რაც გინდ ბევრი ეჭიკჭიკნა, რომ არიქა, ბიჭებო, ღვთის მადლით ჩვენში კაპიტალისტობა მობძანდა, არიქა მისდა სადღეგრძელოდ და სასუფევლოდ სოფელი გავაქალაქოთ, გლეხ-კაცობას მამული ჩამოვართვათ, თორემ თუ პროლეტარიებად არ იქცნენ,

*) იხ. „ივერია“ № 61.

*) მე წინადვე ვიცი, ამ ფულისა და წოდების სასაცილო ამბავს საით უბრუნებს თავს კაცი, თუ ხერხიანია და ცოტა ოდნად საქმის გაგება აქვს. წინადვე ვიცი, აქ როგორ და საიდამ მომივლის კაცი სიტყვის შემოსაბრუნებლად. თუ ბ-ნ ჟორდანიას ამ ხერხისად გაგების ცოტაოდენი რამ აცხია, უსათუოდ ესე მომექცევა, თუ, თავისის დიდკაცობის გამო, არ იუკადრისა ჩემთან ლაპარაკი. ვნახოთ, მიხვდება თუ არა და მეც წინადვე პასუხი მზადა მაქვს.

ახალ-მოსული

*) ეს ის პროგრამაა, რომელიც მითამდა სახელოვანის მარქსის მოძღვრებაზეა აგებული და რომელსაც ერთს დროს გერმანიაში ცოტად თუ ბევრად ავალა ჰქონდა და ეხლა-კი თავისი დრო მოიჭამა და თავისს პატრონს ჩაჰბარდა.

გადიდებული 1900 წლიდგან დაწყებული ვიდრე 1904 წლამდე ჭ ამასთანავე, მიიღებს რა გამგეობა ყველა ქალაქიდგან საჭირო ცნობებს, შუამდგომლობა აღსძრას სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ქ. ტფილისი განთავისუფლებული იყოს პოლიციის შესანახ ხარჯში მონაწილეობის მიღებისაგან.

*** პარასკევს, 17 მარტს, ქალაქის კრებაზე განხილულ იყო ძმათა არზუმანოვების განცხადება მამა-დავითის გორაზე ფუნიკულერის კონცესიით აღების შესახებ. გამგეობამ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ამ წლის 24 იანვარს თვისის დადგენილებით ფუნიკულერის კონცესიით აღების ნება უკვე დართო უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ ნს რობის, რისათვისაც განსაკუთრებული კომისია ამოირჩია ქალაქის გამგეობასთან გზის კონცესიით ხელშეკრულობის შესამუშავებლად, ასე რომ ხელშეკრულობა უკვე შემუშავებულია და მზადაა საბჭოში წარსადგენად, დაადგინა: წარდგენილ იქმნას საბჭოში განსახილველად კომისიის მიერ გამგეობასთან ერთად შემუშავებული პროექტი ხელშეკრულობისა უსახელო საზოგადოების ინჟენერ რობთან, და ძმათა არზუმანოვების თხოვნა-კი დატოვებულ იქმნას უყურადღებოდ. ქალაქის მოურავი ამ დადგენილებას არ დაეთანხმა და სთქვა, რომ გამგეობამ დროს შესამოკლებლად ეხლავე არსებითად განიხილოს არზუმანოვების პროექტი და რობისთან შესაკვრელად შემუშავებულ პირობებთან ერთად წარუდგინოს ქალაქის საბჭოსაო. ამასთანავე ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ ჩემს მოსაზრებას ცალკე წარვუდგენ საბჭოსაო.

*** 18 მარტს სრულიად სომეხთა კათალიკოსთან სადარბაზოდ იყვნენ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ი. სვეჩინი და ტფილისის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი. კათალიკოსი ტფილისში აღდგომამდე დარჩება, შემდეგ ბაქოში წავა.

*** 17 მარტს კრება ჰქონდა ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმომჩენ კომიტეტს. კომიტეტს გადაუწყვეტია იყიდოს დაზარალებულთათვის საქონელი, თესლი და ხე-ტყე. თესლი კომიტეტმა ზოგი აქ უნდა იყიდოს, ზოგიც ყუბანის ოლქში, საქონელი—არდაგანსა და ყარსის ოლქში, ხოლო ხე-ტყე—ბორჯომის მამულში. კომიტეტს დღემდე დაზარალებულთა სასარგებლოდ მიუღია სულ 200,000 მანეთის შემოწირულებანი.

*** გაზ. „კავკ.“-ს სიტყვით, სათანადო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ განჯის გუბერნიაში კალიის გასაწყვეტად წელს გადადებულ იქმნას 7,000 მანეთი.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დეპეშა გაუგზავნა პროფესორს თარხნიშვილს, რომელშიაც ულოცავდა 30 წლის სამეცნიერო სალიტერატურო და საპედაგოგიო მოღვაწეობას. ეხლა მაზრის წინამძღოლს მიუღია დეპეშა თავ. თარხნიშვილისაგან, რომელშიაც პროფესორი უღრმეს მადლობას უცხადებს გორის თავად-აზნაურობას მილოცვისა და იმის სახელობაზედ სტიპენდიის დაარსებისთვის.

*** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მარტის მე-III ნომერი: შინაარსი ამ ნომრისა: 1, „გიორგი წერეთლის დაკრძალვა“—ლექსი გახდაგილისა; 2, „მზრუნავი დედა“ (ფრანგულიდან); 3, „მოტი-გეჯის ბჯახუება“—თარგმანი ივ. მ—ახისა; 4, „პატარას“, (გადმოკეთებული) შ. მღვიმელისა; 5, „გახო და ჩიტი“,—იაკობ გოგებაშვილისა; 6, „ფოფოს მასწავლებელი“ (პოლონურიდან)—ა. უუმისთაველისა; 7, „მეურმე და მდინარე“, (იგავი)—ი. ა.—სი; 8, „ჩვენი გაზაფხულის სტუმრები“—ილიკოსი; 9, „პატარა მეცნიერნი“,—მ. დემურიასი; 10, „მარტი“—ლექსი დ. თომაშვილისა; 11, „ჰაერში ფრენა“ (ჰაერონავტიკა) III—ილიკოსი; 12, „მელი და ჯაბღიბო“, იაკობ გოგებაშვილისა; 13, „ფოსტის მარკები“—ა. ნა—დისა; 14, „პატარა მკითხველების წერილები“ 15, წვრილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ლოგოგრიფი, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი და ახსნა.

*** ს. ანაგა. 12 მარტს აქ, ანაგაში, ყრილობა იყო გლეხებისა მაზრის უფროსისა და ბოქაულის თანადასწრებით. აქვე დაესწრნენ მამასახლისები: კარდენახისა, ვაქირისა და მაშნაარისა რამდენისამე ამორჩეულის კაცებით. ეს ყრილობა იყო სოფლად ექიმის მოწვევის თაობაზედ. მაზრის უფროსმა—ბ-ნმა შანშიევმა განუმარტა გლეხებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად ექიმის ყოლას, ნათლად დაანახვა, რა ხარჯი ეძლევათ შორიდგან მკურნალის მოწვევით წამლის ყიდვისთვის და სხვანი. ხალხმა ერთხმად თანხმობა გამოაცხადა და გადასწყვიტეს მოიწვიონ მკურნალი თავისის ფერშლით ოთხმა ზემოდ დასახელებულმა სოფელმა. გარდა ამისა დაიქირაონ ერთი ოთახი საწოლით უპატრონო ავადმყოფთათვის. დაადგინეს გარდაიხადონ წლიწადში კომლზე თითო მანეთი. მკურნალს ვიზიტის ფული (თუ სახლში მოიწვიეს) სამი აბაზი უნდა მისცენ, ფერშალს—ორი აბაზი. წამალი უფასოდ იქმნება. ესენი სოფ. ანაგაში უნდა იყვნენ, რადგანაც იგი არის შუაალაგი ამ ოთხს სოფელში. ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. ღმერთმა ჰქმნას, დროზედ განახორციელონ ეს კეთილი და უკლასათვის სასარგებლო საქმე.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა განთავისუფლებულ იქმნას ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობის შენობა ქალაქის დასაფასებელ გარდასახადისაგან.

*** 15 მარტს ლაბორატორიის ქუჩაზედ საკუთარს სახლებში მცხოვრებელ ი. ი. ერივესაგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები, 2000 მანეთად ღირებული. ქურდობის ეჭვი მიიტანეს ერივეს მოსამსახურეზე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს გრიგორ ჯეგომაძეზე, რომელსაც უკვე უპოვნეს ერთი წყვილი ოქროს საყური და ბეჭედი.

*** 18 მარტს თამამშევის ქარვასლასთან ცხენის რკინის გზის ვაგონის დაძვრის დროს ქ-ნ სოკოლოვისას მოსტაცეს ქისა, რომელშიაც 15 მანეთი იდო.

*** 14 მარტს ბაქოში, ცირკის პატრონებს, ძმ. ნიკიტინებს მოჰკვდომიათ ერთი სპილო. ეს სპილო ნიკიტინებს 12 ათას მანეთად შეუძენიათ.

## მცირე შენიშვნა.

წელს, 2 იანვარს, ქართველმა საზოგადოებამ დიდის ამბით იდღესასწაულა ჩვენი თეატრის ორმოც-დაათი წლის არსებობის იუბილეი. მთელის ნახევარის საუკუნის განმავლობაში ჩვენს თეატრს, იმისდა მიუხედავად, რომ ბევრი საპატიო მიზეზები წინ გადაეღობებია, ბევრი ვაი-ვაგლახი და გაჭირვება თავს დასტყდომია, თავისის ჭეშმარიტ და სწორ გზისათვის არ უღალატნია, რის გამოც მას დღეს-დღეობით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სასცენო ხელოვნების განვითარების ასპარეზზედ. დღეს ქართველ ერს სიამაყით შეუძლიან სთქვას, რომ იგიც განვითარებისა და წინმსვლელობის გზას ადგია, რომ მასაც წილი უდევს იმ ტაძრის დამკვიდრების საქმეში, რომელიც ერში ამყარებს საზოგადო კაცობრიულ იდეებსა და იდეალებს და მით ხელს უწყობს მთელის კაცობრიობის პროგრესს. დიაღ სამართლიანად შეგვიძლიან დღეს დღეობით ვიამაყოთ ჩვენის საკუთარის თეატრით, ამ საერო დაწესებულებით, სადაც ქართული ენა, ქართულის ენის სიწმინდე და სიფაქიზე, ქართული ზნე და ჩვეულებანი სავსებით დაცულია. ვამბობ შეგვიძლიან ვიამაყოთ „დღეს-დღეობით“, რადგანაც ადვილად შესაძლოა ამ ვაი-ვაგლახით და ჭაპან-წყვეტით ფეხზედ წამოყენებულ კეთილ საქმეს რაიმე მოულოდნელმა გარემოებამ ხელი შეუშალოს, შეაფერხოს იგი და ჩვენ დაუღალავ მოღვაწეთა ნახევარ საუკუნის შრომა ერთიანად გაანადგუროს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დღევანდელმა 20 მარტს, კრებამ სხვა მორიგ საგანთა შორის თავისი მსჯავრი უნდა დასდოს ამ საქმესაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის თეატრის მომავალი კეთილ-დღეობისათვის. ქართული წარმოდგენები, როგორც ეს მკითხველებმა კარგად უწყიან, დღეს-დღეობით იმართება ტფილისის თავად-აზნაურობის ქარვასლაში და მართალიც უნდა აღვიაროთ, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ამ მხრით დიდი შეღავათი აქვს მინიჭებული. როგორც გავიგეთ, თავად-აზნაურობის ქარვასლის გამგე კომიტეტს ვრცელი მოხსენება შეუდგენია იმის შესახებ, რომ ქართული თეატრის შენობა მოშალოს ჭ მის მაგივრად აავოს ორ-სართულიანი შენობა, სადაც ზემო სართულში მოთავსებული უნდა იყოს საკონცერტო სალონი და ქვემოდ-კი დუქნები, რაიც, კომისიის აზრით, თავად-აზნაურობისათვის უფრო სარფა და შემოსავლიანი იქმნებაო. ჩვენ არ ვიცით, თავად-აზნაურობის საზოგადო კრება დაეთანხმება კომისიის ამგვარ წინადადებას თუ არა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ საგნის ასე თუ ისე გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექმნება ქართულის თეატრის მომავალ კეთილ-დღეობისათვის ჩვენი საზოგადოება ჯერ-ჯერობით ისე არ არის შეჩვეული თეატრს, რომ ქართულმა წარმოდგენებმა თავისი ხარჯი დაჰფაროს. დრამატიული საზოგადოების გამგეობა, თუმცა მხნედ ეკიდება თავისის მოვალეობის აღსრულებას, თუმცა ყოველგვარ შესაძლო ღონისძიებას ხმარობს, რათა თეატრის კეთილდღეობის საქმე რიგიან ღონეზედ მოაგვაროს, მაგრამ ჯერ-

---

კაპიტალისტობა შემოგვწყოება, ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს და ეს პროგრესის ღალატი იქნებაო და სხვა ამისთანა აბდა-უბდა,—მაინც ეს ამისთანა ჰიკჰიკი იმისთანა მერცხლისაგან, როგორიც ბ-ნი ჟორდანიაა, ჩვენში გაზაფხულს ვერ მოიყვანდა. მე ეს კარგად ვიცოდი და აინუნშიაც არ მომდიოდა. ვამბობდი,—ამისთანა ბოდვას ვინ ათხოვებს ყურსა-მეთქი.

## XI

სულ სხვაა, როცა სჯიჯგნიან იმისთანა საქმეს, რომელიც ჭირადაც გვყოფნის და ლხინადაც, რომელიც დიდის ღვაწლით და შესაწირავით აგვიჩენია, გაგვიმართავს და ეს ოცდა-ექვსი წელია ვამოქმედებთ. სულ სხვაა, როცა ამისთანა თვალ-წინ დაყენებულ საკუთარს საქმეზე განგებ თუ უნებლიედ თვალებს გვიბმენ, გონებას გვიხშობენ, გულს გვიტეხენ. რაც გინდ დამწამონ, რაც გინდ გუნდრუკის კმევა მიკიჟინონ, მე ამაებს არ შევუშინდები და იმ უეჭველს მართალს გულის სიწმინდით ვიტყვი, რომ ჩვენებური ბანკი, რომელიც წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგებას იძლევა და ამ ოცი ათას თუმნიდამ თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო, საქვეყნო ჭირსა და ვარამს ანდომებს, იმისთანა დაწესებულებაა, რომ ყველა რიგიანს და ჭეშმარიტ ქართველს უნდა სასიქადულოდ და თავ-მოსაწონებლად მიაჩნდეს, რომ შევძელით, ამისთანა რამ შევქმენით, ჩვენის საკუთარის ღონით და შეძლებისამებრ ვპატრონობთ და ვუძღვებით. როცა ბ-ნი ჟორდანია და მისი ამქარი ამისთანა საქმეზე ტყუილებით თვალს გვიბრმავებენ, განგებ, თუ უნებლიედ სახელს უტეხენ, რომ მით გულიც გაგვიტეხონ, მხნეობა დაგვინელონ და ეს ერთად-ერთი საკუთარი საქმე გულიდამ ამოგვაღებინონ, ნუ თუ არა ჰგრძნობენ რას სჩადიან?

ვინ რას იტყვის, რომ, თუ ნაკლულოვანობა აქვს ჩვენებურს ბანკს, ამხილოს ვინმემ და გულის-ტკივილით თავიდამ მოაცილოს, გულმტკივნეული დარიგება და სარჩიელი მისცეს. მადლობის მეტი რა ეთქმის ამისთანა კაცს. ხოლო ბ-ნი ჟორდანია ამისთანა კაცი არა ყოფილა, მაშასადამე, ბევრ სიკეთესიან ერთად არც გული ჰქონია გულის ადგილას. ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ ნამდვილი და მართალი ნაკლი ჩვენებურ ბანკისა ვერ დაუნახავს, ვერ გაუთვალისწინებია და ტყუილებით მისდგომია და ჰლამობს ძირი და სახელი მოუთხაროს, მიწასთან გაასწოროს.

რა ჰქვიან ამისთანა საქციელს, მე არ ვიცი და რიგიანი კაცი-კი ამას ინატრებდა, რომ დედამიწა გაირღვეს და თან ჩაიტანოს, ვიდრე თავისის ქვეყნის ერთად-ერთს საკუთარს საქმეს, საკუთარის თაოსნობით წარმოებულს და მომქმედს, ასეთი დღე დააყენოს. იმისი მაინც როგორ არა სცხვენიათ, რომ ჩვენებურს ბანკს არავითარი წოდებრივი საგანი არა აქვს, არავითარი კერძო ინტერესი. აბა ერთი სხვა ბანკი გვიჩვენეთ იმისთანა, რომ მისი მოგება არავისს ცალკე ჯიბეში არ მიდიოდეს და მარტო საზოგადო საქვეყნო საჭიროებას ჰხმარდებოდეს. აბა ერთი იმისთანა ბანკი მიჩვენეთ, რომ ფულს მე ჩამოვსულიყავ და მოგება-კი საზოგადო საჭიროებისათვის შემეწიროს. ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედა-აზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია და ხელი არ უნდა გაუხმეს იმ ბოროტს, ვინც ამისთანა საქმეს ჰლამობს ცილის წამებით, ტყუილებით ციხე-სიმაგრე შეუნგრიოს, სახელი გაუტეხოს. მაშ რაღაა იგი თქვენი თავში ცემა და ყვირილი, რომ ყველა ცალკე ადამიანი საზოგადოებისათვის უნდა იღვწოდეს, საზოგადო გამოკეთებას და გამდიდრებას უნდა ემსახურებოდეს და არა მარტო თავისს თავსაო. მაშ ის თავში ცემაც და ყვირილიც ტყუილი ფართი-ფურთი ყოფილა! თავად-აზნაურობამ დააარსა ჩვენი ბანკი, მისს მოგებაში, თვისდა სასახელოდ, თითონ საკუთრად წილი არ ჩაიდო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწირა და თქვენ-კი გამოულხართ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რად გაითხარეთო. კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ პირდაპირ იმასა ჰნიშნავს, რომ კაცი საზოგადო საქმიდამ გინდათ კერძო ინტერესზე ჩამოახდინოთ, საზოგადო საჭიროებისათვის ფეხ-ადგმული კაცი მისს საკუთარ კერძო ინტერესზე მიახედოთ და, რომ უფრო ადვილად მისწვდეთ თქვენს საწადელს, შიშით გულს უხეთქავთ, ილუპებიო, რომ სხვას საშველად ხელს უწვდიო და თქვენსას ყველას უწილადებთ წოდებისა და ხარისხის განურჩევლადო! ამისი თქმა გინდათ განა! მაშ ამაში სხვა რა აზრია, როცა ამბობთ, მერე ტყუილადაც, რომ ბანკი, რომელსაც საგნად აქვს თავისის მოგებით საზოგადო საჭიროებას გაუძღვეს, შენ გასუსტებს და გარღვევსო, მამულებს გიყიდის და და გაღატაკებსო. ეს ყოველივე ხომ ცოცხალი ტყუილია და რად გინდებიათ ასეთი ტყუილი მუქარა და შიში? ძლივ-ძლივობით ჩვენში საზოგადო საქმის სურვილმა ფეხი აიდგა, საზოგადო საჭიროებისათვის ფულის გადადებამ და გამოღებამ ძლივ-ძლივობით ერთი საზოგადო საქმე შექმნა საზოგადო სამსახურისათვის, კერძო ინტერესები არ იკადრო, არ გააქაჩანა და ამაზე ადამიანს აფრთხობთ და გულს უტეხთ. ეს არის თქვენი სიმბოლო სარწმუნოებისა, ეს არის თქვენი ახალი აღთქმა! ეგ ხომ ათადამ-ბაბადამვე ვიცოდით, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდამ კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალ კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა! ამას რუსები „აბრუნდის“ ეძახიან, სომხები იტყვიან ხოლმე: „ეი, ახმახ“, ქართველები-კი: ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო!

მე არ ვიცი ამ ჩემის წერილისაგან ბ-ნი ნოე ჟორდანია ჭკუას მოვა თუ არა. ვაი, თუ მგლის თავზე სახარების კითხვა დამემართოს და გადარეული უფრო გადაირიოს. ესეც-კი შესაძლოა: იქნება, იმის ქედ-მაღლობის ამბავი რომ ვიცი, მე და ჩემი წერილი ცხვირ ზევით აიცდინოს, ვითომდა არა გვკადრულობს, თავს არ გვიყადრებს. ეს-კი უეჭველია, რომ უსაბუთობას ვერ მიკიჟინებს და თუ მიკიჟინა, მკითხველმა გაგვასამართლოს.

ახალ-მოსული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონით სასურველი გარემოება ვერ შეუქმნია, მას წლითი-წლობით საგრძნობელი დეფიციტი აქვს. თეატრის წინმსვლელობის საქმე უმთავრესად არტისტების მხნეობისა და შრომისაგანაა დამოკიდებული, მაგრამ რა მხნეობა და შრომა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს მსახიობთ, რომელსაც ისინი თავისის მძიმე და პასუხის-საგებ ტვირთისათვის სულ მცირე და უმნიშვნელო ჯილდოს იღებენ. ისეთი ნიჭიერი არტისტნი, როგორიცაა საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია ცაგარლისა, ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვანი უცხო ქვეყნების მსახიობნი რომ ყოფილიყვნენ, დღემდის ნივთიერად უზრუნველ-ყოფილნი იქნებოდნენ, ჩვენ კიდევ ქართულის თეატრის სულის ჩამდგმელნი ლამის სასოწარკვეთილების კარამდის მიგვიყვანია, და ეს მაშინ, როცა დრამატიული საზოგადოების გამგეობა უფრო შეღავათიან გარემოებაშია, როცა იგი ქართულ წარმოდგენებს ჰმართავს თავად აზნაურობის შენობაში, სადაც თავისს თავს თითქო საკუთარ სახლში ჰგრძნობს.

ახლა რაოდენად უნდა გაორკეცდეს ეს დღესაც აუტანელი მდგომარეობა, რაოდენად უნდა შეფერხდეს თეატრის წინმსვლელობის საქმე, რაოდენად უნდა დაქვეითდეს ჩვენთა მსახიობთა უნუგეშო მდგომარეობა, როცა ქართული თეატრი დაჰკარგავს სამუდამო და მასთან შეღავათიან თავშესაფარს, როცა იგი ღვთის ანაბარად დარჩენილი სხვის კალთას შეაკედლებს თავს. თვითოეული ქართული წარმოდგენა, გაიმართება იგი სახელმწიფო თეატრში, თუ არტისტიულ საზოგადოებაში, არა ნაკლებ ოთხასის მანეთისა მოითხოვს აუცილებელ ხარჯად, მაშინ როცა დღეს ასი მანეთიც არ გვიჯდება. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, ამ ვითარებაში ჩაყენებული, ათასიც რომ ბცადოს ქართულის თეატრის გაუმჯობესების საქმეს, რიგიანად ვერ მოაგვარებს, ღირსეულად ვერ აწარმოვებს და ჩვენთა წინაპართა ნახევარ საუკუნის უანგარო შრომა და ღვაწლი საშვილიშვილოდ ჩაიღუპება, და მით ქართველი ერი სამუდამოდ დაჰკარგავს იმ მძლავრ იარაღს, რომელიც ჩვენის განვითარებისა და თვით ცნობიერების საქმეს ასე ხელს უწყობს.

აი, ამ მოსაზრებით ვფიქრობ, რომ ქართულის თეატრის დღევანდელ შენობის მოშლა და სხვა გვარად გადაკეთება მარტოდ-მარტო შემოსავლის გაძლიერების მიხედვით არ უნდა იზომებოდეს, ამ საგნის განსჯის დროს თავად-აზნაურობის საზოგადო კრება სულ სხვა აზრით უნდა ჰხელმძღვანელობდეს, თუ ჰსურს საშვილი-შვილო გონებრივ სალაროს ერთი უმძლავრეს ბოძთაგანი არ ჩამოაცალოს.

მართალია, ქართულის თეატრის შენობა, ტეხნიკების შემოწმებით, დაუყოვნებლივ შეკეთებას ჰსაჭიროებს და, მაშასადამე, თავად აზნაურობა ახლავე საქმეს უნდა შეუდგეს, ხოლო ჩვენის აზრით, თავად-აზნაურობა ყველაზედ უფრო კარგს იზამდა, რომ იგი დაუყოვნებლივ ქართული თეტრის ახალის შენობის აგების თავდარიგს დაიჭერდეს, რათა წინაღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხის-მგებელი არ გახდეს შთამომავლობის წინაშე ასეთის დიადის საქმის დაღუპვისათვის.

დასასრულ ვუსურვებ თავად-ზანაურობის წრევანდელ საზოგადო კრებას, რომ იგი დიდის სიფრთხილითა და დაკვირვებით მოჰკიდებოდეს კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მოხსენებას ქართულის თეატრის შენობის ვადაკეთების შესახებ და ამ სიფრთხილისა და დაკვირვების განაჩენს ის შედეგი მოჰყოლოდეს, რომ ჩვენს მომავალს თაობას არ მოსპობოდეს იმ ეროვნულ დაწესებულების ზეგავლენა, რომელსაც ქართული თეატრი ჰქვიან.

ა. ყუმისთაველი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლელვნის საზოგადოება,** (შორაპნის მაზრა). აგერ სამი წელიწადია, ამ საზოგადოებას აქვს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც დღემდისაც არ არის მტკიცე საფუძველზედ დამყარებული. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს კერძობა ყოველის სოფლისა. ეს საზოგადოება შესდგება 7—8 სოფლებისაგან და თითქმის ყველა სოფელი მოწადინებულია სკოლა ახლოს ჰქონდეს. პირველად საზოგადოებამ გამოსახა სასკოლე ადგილად ს. მარელისი, რომელიც მოწონებული იქმნა აგრეთვე მთავრობისაგანაც. ამ სოფელში აღმოჩნდა სასკოლე ადგილის შემომწირველი კაცი. იყიდეს მერობა და დაიწყეს შენება სახლისა დანიშნულს ადგილას, მაგრამ ამ დროს თავი იჩინა დასხბამ: ლელვნელებმა მოინდომეს სკოლა თავისს სოფელში, იმათ მხარე დაუჭირეს ზოგმა მოხელეებმა და „მალას აღმართი დაახვნევინეს", ე. ი. სკოლა გადაიტანილ იქმნა ს. ლელვანში. ამის გამო უთანხმოება ჩამოვარდა, ნაწყვარმა მარელისმა, ზედაუბანმა, სერმაისმა და კახაბმა უარი განაცხადეს იმ ადგილას სკოლის დადგმის შესახებ, რადგან ძლიერ შორს იქნებოდა და ბავშვებისათვის შეუძლებელი ჰხდებოდა ამ დიდ მანძილზედ სიარული. ამ სოფლელებმა სთხოვეს მთავრობას, რომ ნება მოგვეცით მეორე ერთ-კლასიანი სკოლა ავაშენოთ საკუთრად ჩვენთვისო. მთავრობამ ნება რთვა მისცა, რის გამოც შესდგა სოფლის განაჩენი. ამ განაჩენშია მოხსენებული: დაარსონ ერთ-კლასიანი სკოლა, აგონ კარგი შენობა მისთვის, დაუქირაონ მოსამსახურე, მისცენ მასწავლებელს ჯამაგირი, ხოლო დახმარება სთხოვონ მთავრობას. მეორე სკოლა ჯერ ს. მარელისში იყო კერძო სახლში და იქ იხდიდნენ სახლის ქირას. ეხლა რადგან იქ არ დატია მოსწავლეები, სივიწროვისა გამო გადაიტანეს ლელვანში და იქაც იხდიან ქირას როგორც სკოლისას, ისე მასწავლებლის ბინისას ცალკე, მაშინ როდესაც სკოლის შენობა აქამდის უნდა მოთავებულიყო და საკუთარს შენობაში უნდა მოთავსებულიყვნენ მოსწავლეებიც და მასწავლებელიც. სკოლა ნახევრად აშენებულია, მაგრამ დამთავრება მისი არვინ უწყის. სასურველია სკოლის საქმე სწორს ნიადაგზედ დადგეს და საზოგადოებას შეღავათი მიეცეს. ამ ჟამად ამ სკოლაში თითქმის ასამდე მოსწავლეა. მეორე სკოლა ჯერ არსად სჩანს.

ჩვენს საზოგადოებაში ხშირად არის ყელ-ჭორვება, ყბა-ყურა, ყვავილი და სხვ.

კ. გრძელი

**ს. კარდენახი.** ამ უკანასკნელ ხანში აქაურმა ყმაწვილკაცობამ წარმოდგენების მართვა დაიწყო. სამი წარმოდგენა უკვე გამართა საქველმოქმედო აზრით და ცოტად თუ ბევრად რიგიანად შეასრულა თავისი აზრი, თუმცა ზოგიერთი პიესა არცკი იყო სახსის გასაგები. მიუხედავად ამისა ამ წარმოდგენებმა სასიამოვნო ნაყოფი მოიტანა. წარმოდგენებს ძალიან ეტანება ჩვენი სოფლის გლეხობა და სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ ის გარემოება, რომ უადგილობის გამო სცენის მოყვარეთა წრეს არ შეუძლიან ყველას მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

5 მარტს ს. ანაგის ერთს დუქანში პურს სჭამდნენ თურმე კარდენახელი გლეხები დათიკო გოგებაშვილი, მიხა ბასილაშვილი და დიმიტრი ნიკოლაშვილი. პურის ჭამის დროს, სხვათა შორის, ბაასი ჰქონდათ წარმოდგენების გამო. ამ დროს გამოუვლია ერთს ტიტველ-შიშველს ბიჭს და ამ გლეხების ყურადღება მიუქცევია. დათიკო გოგებაშვილს მოუგონებია ამხანაგებისთვის, რომ წარმოდგენებით იმას გვაჩვენებენ, რომ ჩვენს გაჭირვებულ ძმებს უნდა ვუშველოთო, დაჩაგრული ავაყენოთო, და უთხოვნია, მოდი ამ საწყალ ბავშვს ტანისამოსი ვუყიდოთო. იქვე სამივეს გამოუღიათ 90 კ. და რადგან ამ ფულით ტანისამოსს ვერ იყიდდნენ, გადაუწყვეტიათ, სოფელში მოვუგროვოთო. გამოსულან მაშინვე და გზაგზა ბავშვის სასარგებლოდ მოუთხოვნიათ ფული. მოუგროვებიათ 3 მანეთამდე და ამითი ტანისამოსი და ფეხსაცმელი უყიდნიათ.

როგორც ამ ამბიდგან სჩანს, ხალხი საკმაოდ ჰხედავს სახალხო თეატრის მნიშვნელობას და სარგებლობს კიდეც იმითი. ვისურვებთ, რომ სცენის მოყვარეებმა უფრო დიდი ხალისით განაგრძონ ჯერ სახად კარგად დაწყებული საქმე და ბოლომდის ისე მიიყვანონ იგი, რომ ყველა კარდენახელი ისე ჰხედავდეს თეატრის მნიშვნელობას და ისე იყენებდეს იქ ნასწავლს და ნანახს, როგორც ამ გლეხებმა გამოიჩინეს.

ა. ა.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

წინა წლებში ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო აპუხტინი, რომელმაც ძლიერ შეავიწროვა პოლშური ენა სასწავლებლებში. ამ ენამ დაჰკარგა გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში სავალდებულო საგნის უფლება. მისი სწავლება მოისპო სრულიად უფროსს კლასებში, შერჩა მას თითო-ოროლა გაკვეთილი მხოლოდ უმცროსს კლასებში, და იქაც სწავლობდა მარტო ის, ვისაც უნდოდა და ცალკე ფასის შეტანა შეეძლო; ახსნა მიდიოდა რუსულს ენაზე. მასწავლებელს პოლშურის ენისას სამსახური აღარ ეთვლებოდა, პენსიას ვერ ელირსებოდა და ჯამაგირიც ცოტა ჰქონდა. მასწავლებლებად მწესდებოდნენ უვიცნი კაცნი: რომელთაკ არაფრის საქმის რიგიანად გაკეთება არ შეეძლოთ. პოლშურის ენის ბალებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ კლასიდგან კლასში გადაყვანისათვის, და მოწმობაშიაც არ იხსენიებოდა.—პოლშელებს ძალიან უყვართ თავიანთი ენა, ისტორია და ლიტერატურა და ამიტომ დიდად გულს ატკენდა მათ ასეთი მდგომარეობა სამშობლო ენისა სასწავლებლებში.

მაგრამ, მათდა სასიხარულოდ, ბოლოს წლებში ძირეულად შეიცვალა პოლშურის ენის მდგომარეობა. აი, რასა ვკითხულობთ რუსულის გაზეთის Недѣля ს უკანასკნელს, მეათე, ნომერში:

ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ლიგინის შუამდგომლობის თანახმად, რომელსაც გულმხურვალე სარჩლი აღმოუჩინა თავადმა იმერეტინსკიმ, პოლშის გენერალ-გუბერნატორმა, პოლშურის ენის სწავლება გიმნაზიებში ამიერიდგან სრულიად ახალს საფუძველზედ უნდა დამყარდეს: გაკვეთილები ყველა კლასში უნდა სრულდებოდეს პოლშურს ენაზედ, პოლშური ენა შედის სამოსწავლო გეგმაში და ხდება ერთს უმთავრესს და სავალდებულო საგნად („становится однимъ изъ важныхъ и обязательныхъ предметовъ"), მას ასწავლიან ყველა კლასებში. უმცროსი კლასების პროგრამაში მოქცეულია გრამატიკა, უფროსისაში ისტორია ლიტერატურისა. სივრცე პოლშურის ენის პროგრამისა იმოდენაა, როგორიც რუსულის ენისა".

ამასთანავე სანუგეშო ცვლილება მომხდარა სახალხო სკოლებშიაც. წინად აქ პოლშურს ენას რუსულს ენაზედ ასწავლიდნენ, საგნებიც რუსულს ენაზედ ისწავლებოდა, გაკვეთილებიც პოლშურის ენისა იყო მცირე—სამი კვირაში. ახლა-კი სხვანაირად დატრიალებულა საქმე. იგივე გაზეთი განაგრძობს:

„სახალხო სკოლების მასწავლებლებს მიუღიათ ცირკულიარი სამოსწავლო მთავრობისაგან და მასთან ახალი გეგმა სწავლებისა, რომლის ძალით პოლშური ენის გაკვეთილები ერთი ორად არის მომატებული. ნაცვლად სამი გაკვეთილისა კვირაში დანიშნულია ექვსი გაკვეთილი; ამასთან სწავლება პოლშური ენისა ამავე ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ოთხს საგან შორის, რომელსაც ასწავლიან სკოლებში, ორი—რუსული ენა და არითმეტიკა ისწავლება რუსულს ენაზედ და ორიც—პოლშური ენა და საღმრთო სჯული—პოლშურს ენაზედ".—

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ამას წინად ერთის ამერიკულ გაზეთის—„New-Iork-Herald" ის კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერთან. სხვათა შორის კრიუგერს უთქვამს კორესპონდენტისთვის: „ჩვენ იძულებული გავხდით ბრძოლა დაგვეწყო ინგლისთან, რომლის მთავრობაც სესილ როდსმა და მილიონერებმა შეცდომაში შეიყვანეს. ამ მილიონერებმა განიზრახეს ჩვენის ქვეყნის სიმდიდრის, ქვა-მადნების ხელში ჩაგდება და იმედი იქონიეს, რომ ინგლისს ომი დაეწყებინეს. ბურებმა ძალიან ბევრი ითმინეს, ბოლოს მოთმინების ფიალა აივსო და იარაღს მოჰკიდეს ხელი თავიანთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცველად. ესლა, რაკი ომი დავიწყეთ, გადავწყვეტილი გვაქვს ან გავიმარჯვოთ, ან დიდით-პატარამდე ამოვწყდეთ. ჩვენ არავითარ შველას არ მოველით სხვა სახელმწიფოთაგან, მაგრამ ამასთან ძალიან გვახარებს და, თუ გნებავთ, გვამხნევებს კიდეც ის თანაგრძნობა, რომელსაც უცხო ერნი გვიცხადებენ. ტრანსვაალი უოველთვის მზად არის ზავის ჩამოსაგდებად, მხოლოდ ერთის პირობით—დამოუკიდებლობა არ ჩამოგვერთვას. სხვისა ერთი ნაჭერი მიწაც არ გვინდა, მხოლოდ ჩვენსას ნურავინ წამოგვართმევს და წაგვართმევს. ჩვენ მშვიდობიანობა გვიყვარს და მარტო იმას დავეძებთ. დამოუკიდებლობის გარდა ჩვენ იმასაც მოვითხოვთ, რომ კაპის ახალშენის ის ჰოლანდიელნი, რომელთაც ჩვენ მხარი დაგვიჭირეს ამ ბრძოლაში, არ იქმნენ დასჯილნი. ამას წინად გავიგე, რომ რამდენიმე ასეთი ჰოლანდიელი სამართალში მიუცია კაპშტადტს. მათ თურმე ღალატს აბრალებენ. ჩვენ მაშინვე დეპეშა გაუგზავნეთ სალისბიურის, რომ თუ ამ ჰოლანდიელებს ისე არ მოექცევიან, როგორც ტყვეებს, და დასჯიან, მაშინ ჩვენ სხვა რიგად მოვექცევით ინგლისელ ტყვეებს".

— 9 მარტს სიმონსტოუნიდგან კაპშტადტში 1930 ტყვე—ბური მიუყვანიათ. ამ ტყვეებს შორის ბევრი ყოფილა, როგორც თვით ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ, 70 წლის მოხუცი და 13 წლის ბავშვი. ინგლისელებს ტრანსვაალელი და ორანჟიელი ბურები ერთმანეთისათვის განუშორებიათ იმისთვისაო, ამბობენ ინგლისური გაზეთები, რომ ჩხუბი მოსდიოდათო. ტრანსვაალელ ბურებს ელენეს კუნძულზედ გაჰგზავნიან.

— „Manchester Guar"-ს სწერენ ბლუმფონტეინიდგან, რომ ბურები მრავლად ანებებენ თავს ბრძოლას და თავიანთ ფერმებში ბრუნდებიან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თითქმის ყველა მათი ფერმა განადგურებული და მიწასთან გასწორებულია. ინგლისური გაზეთი ამბობს, რომ ინგლისელებმა არაფერი დაინდეს ბურებისა და რაც-კი ფერმებში დახვდათ, ყველაფერი დაიტაცესო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად იაპონიაში უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს შორის დიდი შეტაკება მომხდარა. შეტაკება მომხდარა სამხედრო აკადემიის „Kanjo Gakko"-სა და სამკურნალო ინსტიტუტის „Saiséi Gakusha"-ს სტუდენტთა შორის. ეს სტუდენტები დიდი ხანია ერთმანეთის უკმაყოფილონი არიან თურმე. საქმე იქამდე მისულა, რომ სადაც შეხვდებოდნენ, ჩხუბს უმართავდნენ ერთმანეთს. ბოლოს გადაუწყვეტიათ, რომ ბოლო მოეღოთ ასეთის უთანხმოებისათვის და საქმე საერთო ბრძოლით გაეთავებინათ. დაუნიშნიათ მოედანი, სადაც ბრძოლა უნდა მომხდარიყო. მაგრამ პოლიციას დროზედ შეუტყვია და თადარიგი დაუჭერია. ამის გამო სტუდენტებს ბრძოლა სხვაგან გაუმართავთ. პოლიცია მაშინ მისულა, როცა უკვე გაჩაღებული ომი გამართულა. შეუპყრია პოლიციას მხოლოდ ექვსი დაჭრილი სტუდენტი. როგორც შემდეგ გამოძიებას გამოურკვევია, ამ ბრძოლაში უფრო სამკურნალო ინსტიტუტის სტუდენტებს გაუმარჯვნიათ. იაპონიის ჟურნალ-გაზეთობა დიდად არის თურმე აღელვებული უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეების ასეთის საქციელით და ძალიან ჰკიცხავს მათ. ბრძოლაში სტუდენტები უმთავრესად შპაგებსა და რკინის ჯოხებს ჰხმარობდნენ.

* * *

ამას წინად ერთ ხილეულობის მაღაზიის პატრონს ლონდონში მშვენიერი პრეისკურანტები დაუბეჭდვინებია და თავისს მაღაზიის წინ კალათაში ჩაუწყვია, კალათაზედვე მიუკიდნია ასეთი განცხადება: „გთხოვთ თითო ეგზემპლიარი აიღოთ". მაღაზიის პატრონი გამვლელ-გამომვლელთ სთხოვდა, თითო პრეისკურანტი აეღოთ, წაეკითხნათ და გაეგოთ, მაღაზიაში რა და რა საქონელი იყიდება. ამ დღეს ქარი უბერავდა თურმე. შემთხვევით ქარს განცხადება აუგლეჯნია იმ კალათიდგან, სადაც პრეისკურანტები ეწყო, და იმ ყუთზედ დაუგდია, სადაც ფორთოხლები ელაგა. გამვლელნი გაკვირვებულის თვალებით უყურებდნენ განცხადებას. რაღა ლაპარაკი უნდა, მაღაზიის პატრონს ხათრი არავინ გაუტეხა და თითო ფორთოხალი, როგორც განცხადებაში იყო ნათქვამი, ყველამ აიღო. პატრონმა ეს ამ

ბავი მაშინ გაიგო, როდესაც მაღაზიაში ერთი პატარა ბავშვი შესულა და უკითხნია, არ შეიძლება ერთის მაგივრად ორი ფორთოხალი წავიღო, ერთი ჩემთვის და ერთიც ჩემის პატარა დისათვისაო. გაკვირვებული მაღაზიის პატრონი გარედ გამოვარდნილა, მაგრამ უზარმაზარ ყუთში მხოლოდ რამდენიმე ფორთოხალი-ღა დაუნახავს, დანარჩენი სულ წაეღოთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი

**პეტერბურგი.** 18 მარტს მათი უდიდებულესობანი ზარაფხანაში ბრძანდებოდნენ.

**ბლუმფონტეინი.** კარრთან შეტაკების დროს ბურებმა განუწყვეტელივ სროლა ასტეხეს და დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მთელ ჯარს. გორაკზედ ზარბაზანი დადგეს და ყუმბარები დაუშინეს ინგლისელებს. ინგლისის ქვეითა ჯარი ბურების ჯარის შუაგულისაკენ გაემართა. რამდენიმე კაცი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ცხენოსანმა ჯარმა ორსავე მხრიდგან მოუარა ბურებს. ამის შემდეგ ბურებმა დაიწიეს უკან და თან წაიყვანეს დაჭრილნი და წაიღეს მიცვალებულთა გვამები. ინგლისელებს ეხლა ბუნებითვე გამაგრებული პოზიცია უჭირავთ, საიდგანაც დიდი მანძილი მოჩანს.

**ბრანდფორტი.** ზოგიერთი აქაური ფერმერები ბურების მხარს უჭერენ ფერმებში ცოლ-შვილი დასტოვეს, იმედი აქვთ, რომ ინგლისელები ვნებას არ მიაყენებენ

**კაპშტადტი.** ბარკლივესტიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ამ ოლქში კიდევ მოქმედებენ ბურებიო. ისინი ბეტსონსა, როსიდამსა და კოლლინზიგთან დაბანაკებულან. რაზმს, 200 კაცისაგან შემდგარს, ბუფზედ გაუვლია. იგი ბუტსანისა და კოოპმინსფონტეინისაკენ მიდიოდა,

**ლონდონი.** „Mor. Post“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტეინიდგან, რომ კიტჩინერი წარსულ საღამოს ნორვალსპონტთან დროებით გამართულ ხიდზედ გავიდა შტაბითა და 300 ჯარის-კაცითაო. კიტჩნერი იმ აზრისაა, რომ ამბოხება ჩამქრალიაო.

**რომი.** ორსავე პალატის პრეზიდენტმა თანამდებობას თავი გაანება ორშაბათს არჩევანები მოხდება.

**ლონდონი,** საზოგადოებათა პალატა. ჯოზეფ ვოლტონი, შეეხო რა ვაჭრობის საქმეს ჩინეთში, სავედური გამოუცხადა მთავრობას უმოქმედობისთვის. მთავრობა ვაჭრობის ინტერესების დასაცველად მტკიცედ უნდა მოქმედებდესო. ეხლა კარგი დროა სააღმინისტრაციო რეფორმების შემოღებისთვის ჩინეთშიო. ინგლისი რომ გერმანიასთან, ამერიკასთან და იაპონიასთან ერთად მოქმედებდეს, მაშინ რუსეთი და საფრანგეთი განმარტოვებით არ დარჩებოდნენო. ლორდი ბალკარრესი დაეთანხმა ორატორს, რომ ინგლისის გავლენა ჩინეთში ჩამორჩა რუსეთის გავლენას; მაგრამ, იმედია, მთავრობა თვით აღნიშნავს იმ საზღვრებს, რა საზღვრებშიაც სასურველია დარჩეს ეს გავლენაო. ბროდრიკი არ დაეთანხმა იმ აზრს, ვითომ მთავრობამ ამ ბოლოს ხანს ჩამორჩა კონცესიის შესახებ საქმეებში. არ შეიძლება დიდად შევიწროვება ჩინეთისა, სადაც ინგლისის ქვეშევრდომთ კონცესიების აღება პსურთ მადნების საწარმოებლადაო. შემდეგ ილაპარაკა მაკდონალდმა და სთქვა, რომ მთავრობა იმავე პრინციპებს ადგია, რასაც წინად ედგაო. გრეიმა სთქვა, რომ ინგლისმა ჩინეთში სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით-კი რუსეთთან შედარებით გავლენა დაჰკარგაო.

**სანზრინგამი.** იორკის ჰერცოგინის ვაჟი ეყოლა.

**მასსერუ.** ბურების ის ჯარი, რომელსაც პლატბერგი ეჭირა, წავიდა. ბაზუტოსების მიწა ადგილის მთავრობამ შეჰკრიბა 1000 მუშა ბლუმფონტეინში გასაგზავნად სამხედრო მოხელეებისათვის. ბაზუტოლანდში მყოფი ინგლისის რეზიდენტი ნებას არ აძლევს ამ მუშებს ბლუმფონტეინისაკენ წავიდნენ, რადგანაც ომის გამო მგზავრობა ჯერ საშიშოა.

19 მარტი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა ხელ-ახლა ნება დაერთოს გაზეთ „Русскій Листокъ“-ს ცალკე ნომრების გაყიდვისა.

**ტინტზინი.** ტაკუში მოვიდა ინგლისის ორი სამხედრო გემი.

**პარიჟი.** გალიფემ გამოუცხადა იმ კომიტეტს, რომელსაც ჯარის შედგენა აქვს მინდობილი, რომ ჩემის აზრით, ვიდრე სამხედრო სამსახურის ვადად ორი წელიწადი იქმნება დადგენილი, საჭიროა შემოღებულ იქმნას კანონი დაქირავებულთა სამსახურის განგრძობის შესახებ.

**ოდესსა.** ბოლგარიის სამხედრო მინისტრი კიევიდგან პეტერბურგში წავიდა.

**ხარკოვი.** მაზრის საერობო გამგეობანი იწვევენ გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად უკანასკნელ სემესტრის სტუდენტ მკურნალებს. გამოცდილებამ დაარწმუნა გამგეობანი, რომ სტუდენტები თავგანწირულებით მუშაობენ და საქმის ცოდნაც შესწევთ.

**კავკავი.** გროზნისა და ალხანიურტის სადგურებს შუა საფოსტო მატარებელი საქონლისას დატაკა. ორსავე მატარებლის მაშინისტები და ფოსტის მოხელე მოკლულ იქმნენ, ორი კაცი დაიღუპა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტეინიდგან: „აქ მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ მტერი ბრანდფორტს განშორდა და ჩრდილოეთისაკენ მიდის. გუშინდელ ბრძოლაში უფრო მეტი ზარალი მოგვივიდა, ვიდრე წინად გაუწყეთ: მოკლულია 2 ოფიცერი, დაჭრილია, 8 ჯარის-კაცი 19 მოკლული, 159 დაჭრილი და სამიც უკვალოდ დაიკარგა“.

სალამოს გაზეთებს ატყობინებენ ბლუმფონტეინიდგან, რომ იმ ბრძოლამ, რომელიც 16 მარტს ბრანდფორტთან მოხდა, გასტანა დილის 11 საათიდგან საღამომდეო. კრონშტადტში მყოფმა ბურების უფროსმა 6,000 კაცი გაგზავნა, რათა მათ ბრანდფორტი არ დაენებებინათ ინგლისელებისათვის. ამ ჯარმა ბრანდფორტის სამხრეთით გორაკები დაიჭირა. ზარალი ორსავე მხარეს დიდი მოუვიდა. როგორცა სჩანს, ბურების ჯარის ერთ ნაწილს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მონაწილეობა უნდა მიეღოს 2000 ან 3000 კაცსაო.

**პრეტორია.** უცხო სახელმწიფოთა ელჩებს ოფიციალურად ეუწყათ, რომ მთავრობას არ განუზრახავს და არც გარდაუწყვეტია ოქროს მადნების დაქცევაო.

## მადლობის გამოცხადება.

წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომელმაც ა. ს. ბუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად 350 მანეთი შესწირა თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს ღარიბ მოსწავლე ქალთა სწავლის ფასის გადასახდელად.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი თუქურმიშის ფოსტა-ტელეგრაფის სადგურის უფროსს ალექსანდრე ლევანის ძეს თულაშვილს, ზაქარია ჰიპინაძეს, იოსებ იმედაშვილს და მორჩილს რაჟდენ ბარამიძეს, რომელთაც შემოსწირეს სხვა-და-სხვა ქართული წიგნები სოფ. სტეფანწმინდაში, ალექსანდრე ყაზბეგის სახელობაზე დაარსებულ წიგნთ საცავს.

გამგე წიგნთ-საცავისა მასწავლებელი ალექსანდრე კვაჰაძე.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ ნიკოლოოზ მარრს, რომელმაც ივლისში 1899 წ. ციხის ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა ინახულა და ღარიბ ბავშვებისთვის სასწავლო ნივთების სასყიდლად ხუთი მანეთი დაუტოვებია მაშინდელ ადგილობრივ მასწავლებლისათვის. ეს ფულები უკვე გადმოგვცა ამ სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა ბ-ნმა ს. რამიშვილმა და დანიშნულებისამებრ ამ ფულებით ნაყიდი სასწავლო ნივთები უკვე დაურიგდა მოსწავლეთ.

ციხის ერთ-კლასიანის სამრევლო სკოლის მასწავლებელი კ. ტრაპაიძე, მზრუნველი ამ სკოლისა ი. ცინცაძე


# განცხადებანი

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საზოგადო ვაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბალახის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, სავქავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარებზე ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი განტორა მოთავსებული იქნება ჩემს სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—ნ.—9) გ. ა. კრაუზე.



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 22 მარტს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით,

**მოხდება საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ავჭალის წყლის მილის გამგისათვის სახლის აგებისა და საცხოვრებელ სახლის შეკეთების საქმე ავჭალაში, სულ 5653 მანეთისა და 16 კაპ.

მსურველთ შეუძლიათ პირობანი გაიგონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—ნ.—3)



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობისათვის მილის გამართვის საქმე სამების ქუჩაში ადამიას სახლის პიშკრამდე, სიგრძით 67 საჟ., სულ 1560 მანეთისა.

მსურველთ შეუძლიათ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გაიგონ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—ნ.—3)



## ნ. ა. საბაევის მაღაზია

აცხადებს, რომ რადგანაც ბევრი საქონელია ამ ჟამად მაღაზიაში თავმოყრილი და მრავალია აგრეთვე ცალ-ცალად, რაც დიუჟინს არ ავსებს და მთელს სერვიზსაც არ შეადგენს,

**15 მარტიდგან 9 აპრილამდე მოხდება**

## დიდი ვაჭრობა

გაიყიდება შემდეგი ნივთები:

ჭურჭელი: ფაიფურისა, ფაიანსისა (ქაშანურისა), შუშისა; სერვიზი: სადილისა და ჩაისა. ლამპები და მელქიორიდგან გაკეთებული ნივთები,

ოჯახისთვის საჭირო ნივთები.

— სხვა და-სხვა ავეჯეულობა. —

გაიყიდება ყველა ეს საქონელი ნამდვილის ფასის 25% დგან 50%-ამდე დაკლებით.

ჩემს მაღაზიაში დანიშნული ვაჭრობა არაფრით არა ჰგავს იმ ვაჭრობას, რომელიც ხშირად იმართება სხვა მაღაზიებში. ჩემს მაღაზიაში ვაჭრობა მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ბევრი საქონელი შეიკრიბა და მრავალია დიუჟინ და სერვიზ-შეუსრულებელი.

ვაჭრობა ცალკე განსაკუთრებულ ამისთვის მოწყობილ სადგომში მოხდება ოლღინსკის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უყურადღებოდ არ დამტოვებს.

(15—ნ.—6) ნ. ა. საბაევი.



# ПАРИЖСКАЯ ГАЗЕТА

Русское ежедневное политическое и литературное изданіе съ иллюстраціями въ текстѣ.

I. Оффиціалный отдѣлъ: Дѣйствія и распоряженія русскаго правительства.—II. Циркуляры и распоряженія по всемірной выставкѣ и по русскому отдѣлу.—III. Ежедневныя телеграммы и корреспонденціи изъ крупнѣйшихъ центровъ Еевропы и изъ главнѣйшихъ городовъ Россіи отъ собственныхъ корреспондентовъ.—IV. Политическое обозрѣніе.—V. Обзоры русской и иностранной печати.—VI. Хроника русской столичной и провинціальной жизни.—VII. Хроника иностранной жизни.—VIII. Судебный отдѣлъ.—IX. Театръ и музыка.—X. Фельетонъ: научное обозрѣніе, беллетристика.—XI. Всемірная выставка: описанія русскаго и иностранныхъ отдѣловъ.—XII. Спортъ.—XIII. Биржевой бюллетень.—XIV. Библіографія.—XV. Справочныя свѣдѣнія.—XVI. объявленія.

Отдѣльные номера въ Парижѣ по 15 сантимовъ.

Подписка принимается съ 1-го и 15-го каждаго мѣсяца.

**Цѣна съ доставкой и пересылкой:**

| | 1 мѣсяцъ | 3 мѣс. | 6 мѣс. | 1 годъ |
|---|---|---|---|---|
| Во всѣ города Россіи. . . . . . | 3 р. | 8 р. | 15 р. | 28 р. |
| Въ остальные города почтоваго союза. | 7 франк. | 17 фр. | 35 фр. | 70 фр. |
| Въ парижѣ и въ Д-тѣ Сены и Уазы. | 5 фр. | 13 фр. | 25 фр. | 50 фр. |
| Въ остальной Франціи. . . . . . | 6 фр. | 15 фр. | 30 фр. | 60 фр. |

Объявленія (для Россіи): На 1-ой стр. по 5 франковъ (2 руб.) за строку петита. На 4-ой стр. по 1 фр. 50 сант. (60 к.) „ „

Подписки и объявленія принимаются:

въ **главной конторѣ парижской газеты.**

Парижъ, 18, Бульваръ Монмартръ

(Administration de la PARIJSKAYA GAZETA Paris, 18, boulevtrd Montmartre);

въ отдѣленіи конторы на всемірной выставкѣ, въ главнѣйшихъ книжныхъ магазинахъ заграницы и Россіи, въ книжныхъ магазинахъ Т-ва Вольфа, Меле, **петербургѣ** и Новаго Времени въ **петергбургѣ, москвѣ, харьковѣ** и **одессѣ**; въ **москвѣ**: въ конторѣ ф. Згодинскаго, (отдѣленіе конторы Русскаго Листка) Петровка д. Грачева; въ **москвѣ** и **петербургѣ**: въ конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К° и въ Агентствѣ Парижской Прессы Віолэ; въ **одессѣ**: въ книжныхъ магазинахъ Руссо, Москетти, Распопова, Штадельмайера и въ газетномъ кіоскѣ Свистунова; въ **кіевѣ**: въ книжномъ магазинѣ Идзиковскаго, въ Харьковѣ въ книжномъ магазинѣ Южнаго Края.

Отдѣльные номера продаются въ кіоскахъ и на станціяхъ желѣзныхъ дорогъ.

(5—ე.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 марта 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე